საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1328

09/09/2021

ქ. თბილისი

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალას მიმდებარედ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ უსახელო მდინარის კალაპოტში გამონამუშევარი ფუჭი ქანების N11 სანაყაროს პროექტის ფარგლებში წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების (წყალგამტარი არხის მოწყობის) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალას მიმდებარედ უსახელო მდინარის კალაპოტში გამონამუშევარი ფუჭი ქანების N11 სანაყაროს პროექტის ფარგლებში წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების (წყალგამტარი არხის მოწყობის) სკრინინგის განცხადება.

აღნიშნული სანაყაროს მოწყობის პროექტი შეთანხმებული იქნა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან 2020 წლის 1 სექტემბერს N8357/01 წერილის საფუძველზე, ხოლო 2020 წლის 26 აგვისტოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება N2-764).

სკრინინგის განცხადების მიხედვით, 2021 წლის გაზაფხულზე, უშუალოდ გვირაბების სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას და სანაყაროს მიმდებარედ განსათავასებელი N1 კვანძის მოწყობისას წარმოიშვა N11 სანაყაროზე განსათავსებელი ქანების მოცულობის გაზრდის საჭიროება. შერჩეული ტერიტორიის დამატებითი შესწავლის (ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების კვლევების) საფუძველზე დადგინდა, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე შესაძლებელია გაზრდილი მოცულობის ფუჭი ქანების განთავსება. ამასთან გარემოსდაცვითი თვალსაზრისით იმავე ტერიტორიაზე გაზრდილი რაოდენობის ფუჭი ქანების განთავსება მეტად გამართლებულად იქნა მიჩნეული, ვიდრე სხვა ახალი ტერიტორიების შერჩევა მცირე სანაყაროების მოწყობის მიზნით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სანაყაროს ტევადობის გაზრდის მიზნით, მიღებულ იქნა სანაყაროს ჩრდილოეთის მიმართულებით გაგრძელების გადაწყვეტილება. შეთანხმებული პროექტის მიხედვით, სანაყაროსთვის გამოყენებული მონაკვეთის სიგრძე შეადგენდა 884 მეტრს. განსახილველი პროექტის მიხედვით, სანაყაროს მოსაწყობად წყალგამტარი არხი დაგრძელებულ იქნა 346 მეტრით და მთლიანი მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1230 მეტრს.

წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს სოფ. ვერტყვიჭალას მიმდებარედ, მდ. ძირულას შენაკად უსახელო მდინარის ხეობაში. საპროექტო წყალგამტარი არხის საწყისი GPS კოორდინატია X – 363192.0251; Y - 4663366.2798, ხოლო საბოლოო GPS კოორდინატია X – 363174.1306; Y - 4664376.447. პირდაპირი მანძილი უახლოეს მოსახლესთან შეადგენს 230 მეტრს. აღსანიშნავია, რომ უახლოესი სახოვრებელი სახლი საპროექტო ტერიტორიიდან გამოყოფილია ქედით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობის პროექტი ითვალისწინებს წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელებას. კერძოდ, დაგეგმილია სანაყაროს გასწვრივ სპეციალური წყალგამტარი არხის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური მოცულობის წყლის გატარებას და მიმდებარე ტერიტორიის დაცვას წყალდიდობისგან და დატბორვისგან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, დამუშავებულია ლიტერატურული და ფონდური მასალა. გადამუშავებული ფონდური მასალებისა და საველე კვლევების შედეგების ანალიზის საფუძველზე, შემუშავებულია საინჟინრო-ტექნიკური გადაწყვეტა. ჩატარებული გაანგარიშებების მიხედვით, სანაყაროზე განსათავსებელი გრუნტის მთლიანი მოცულობა იქნება 2292359 $მ^3$. პროექტი ითვალისწინებს დამატებით 346 მ-მდე სიგრძის მონაკვეთზე მდინარის კალაპოტის შეცვლას და მდინარის, როგორც წყალმცირობის, ისე წყალდიდობის პერიოდში ნაკადის გატარებას ბეტონის მასალის, ტრაპეციული განივი კვეთის მქონე არხის მეშვეობით. მთლიანი მონაკვეთის სიგრძე შეადგენს 1230 მეტრს. საპროექტო ნაგებობა გაანგარიშებულია 1%-იანი უზრუნველყოფის საანგარიშო ხარჯზე. წყლის ხარჯის სიდიდისა და წყალგამყვანი კალაპოტის გრძივი ქანობის მიხედვით, განსაზღვრულია არხის განივი კვეთის ზომები. წყალგამყვანი არხის ფსკერზე ბეტონის სისქე იქნება 25 სმ, ხოლო არხის გვერდები იქნება 20 სმ. წყალგამტარი არხის ფსკერის სიგანე იქნება 1 მეტრი. წყალგამყვანი არხის სიგრძე, გადამყვანი სექციის ჩათვლით შეადგენს 1255 მეტრს. საპროექტო წყალგამყვან არხზე ყოველ 12 მეტრში მოეწყობა ბიტუმში გაჟღენთილი ხის მასალით დეფორმაციული ნაკერები.

მდინარეში გამავალი წყლის ნაკადის წყალგამყვანი კალაპოტისკენ გადასაყვანად არხის დასაწყისში გათვალისწინებულია ბეტონის გადამღობი კედლის მოწყობა. კედელი შედგება მარჯვენა და მარცხენა ნაწილისგან. მარჯვენა ნაწილის კედლის სიგანე იქნება 16 მეტრი, ხოლო მარცხენა კედლის სიგანე იქნება 20 მეტრი.

საპროექტო ტერიტორიაზე მდინარეს უერთდება რამდენიმე მცირე შენაკადი, თითოეულ ამ შენაკადზე გათვალისწინებულია მილხიდების მოწყობა, რომლითაც წყლის ნაკადების ჩაშვება მოხდება ძირითად წყალგამყვან არხში.

წარმოდგენილო დოკუმენტაციის მიხედვით, დამატებითი ტერიტორიის ნაწილი 41929 $მ^2$ ფართობი წარმოადგენს სსიპ ეროვნულ სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეს.

სამუშაოების განხორციელების ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება მოსალოდნელია გამოყენებული ტექნიკის ძრავების მუშაობით. პროექტის განხორციელებისას ემისიების სტაციონარული ობიექტები გამოყენებული არ იქნება, შესაბამისად ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი. ინერტული მასალების ტრანსპორტირების ეტაპზე მოსალოდნელია ამტვერება, ამისათვის გათვალისწინებულია გრუნტის გზის რეგულარულად წყლით დანამვა, აგრეთვე გზებზე დაწესდება სიჩქარის შეზღუდვა 10 კმ/სთ-მდე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მშენებლობის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის ძირითადი წარმომქმნელია სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ხმაურის წყაროები ტერიტორიაზე აღარ იქნება. ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმოების პროცესში ტერიტორიაზე არ იგეგმება სამშენებლო ბანაკის მოწყობა, სამუშაოებითვის გამოყენებული ტექნიკა, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების წარმოების ეტაპზე წარმოიქმნება, როგორც სახიფათო, ისე არასახიფათო ნარჩენები. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება შესაბამის კონტეინერებში და შესაბამისი სამსახურის მიერ მოხდება ტერიტორიიდან გატანა. სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსება მოხდება ცალკე გამოყოფილ სათავსოში, ხოლო შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე ორგანიზაციას.

ჩასატარებელი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით, პროექტი არ ხასიათდება ადამიანის ჯანმრთელობაზე მომატებული რისკებით. ამ მხრივ საქმიანობა არ განსხვავდება მსგავსი ინფრასტრუქტურული პროექტებისგან. წყალგამტარი არხის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე, წყლის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს: ნარჩენების არასწორ მართვას, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრას და სხვა, რომლის თავიდან ასაცილებლად სამშენებლო მოედანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი. სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს გარემოზე სხვა მნიშვნელოვან ზემოქმედებას, ტერიტორიაზე არ არის გათვალისწინებული დიდი რაოდენობით ხანძარსაშიში, ფეთქებადსაშიში და მდინარის პოტენციურად დამაბინძურებელი თხევადი ნივთიერებების შენახვა-გამოყენება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არ არის.

საპროექტო ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი მდებარეობს 16,4 კილომეტრში, შესაბამისად აღნიშნულ დაცულ ტერიტორიაზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არქეოლოგიური ობიექტების გამოვლენის ალბათობა ნაკლებია. საპროექტო ტერიტორიაზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გამოვლენის შემთხვევაში, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეცნობება შესაბამის სამსახურს და შეწყდება სამშენებლო სამუშაოები.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სამუშაოებზე ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება სოფლის მოსახლეობაზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება განთავდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

საპროექტო ნაგებობა მიეკუთვნება ჰიდროტექნიკურ ნაგებობას, მისი მოწყობა-ექსპლუატაცია გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ არის.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის მე-9 პუნქტის 9.8 პუნქტის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნას სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფ. ვერტყვიჭალას მიმდებარედ უსახელო მდინარის კალაპოტში გამონამუშევარი ფუჭი ქანების N11 სანაყაროს პროექტის ფარგლებში წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების (წყალგამტარი არხის მოწყობის) განხორციელება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ამ ბრძანების გაცნობისტანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი